სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

18 მარ 2025

გადაწყვეტილება # 882025265695-03 (18.03.2025)

სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ

განცხადების ნომერი: **882025265695** განცხადების მიღების თარიღი: **12.03.2025 15:38**

დაინტერესებული პირი: **შპს ბალტიკ ინვესტმენტ გრუპ (405047701)**

წარმომადგენელი: **თეა ლეჟავა-მინდიაშვილი (01025015742)**

უძრავი ნივთის მისამართი/საკადასტრო კოდი: **ქალაქი თბილისი , ნუცა ღოღობერიძის ქუჩა N9, 01.14.12.003.130**

მომსახურების სახე: **მშენებარე უძრავ ნივთზე რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების რეგისტრაცია (პროექტის განშლა/ პროექტის კორექტირება)**

დ ა ს კ ვ ნ ა

1. შეჩერდეს სარეგისტრაციო წარმოება „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 21.1. .“ბ“, „გ“ და „ი“ მუხლის შესაბამისად.

2. სარეგისტრაციო მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის:

წარმოსადგენია მშენებლობის ნებართვაში მითითებულ ტექნიკურ ეკონომიკურ მაჩვენებლებთან შესაბამისობაში მყოფი შეთანხმებული პროექტი, საკადასტრო აზომვითი ნახაზი და ელ. ვერსია.

ფართის დანიშნულებისა და ოდენობის შემცირების შემთხვევაში წარმოსადგენი იქნება შესაბამისი უფლებამოსილი პირების თანხმობები.

ასევე წარმოსადგენია სათანადო წესით დამოწმებული განშა/ განაწილება, სადაც ასევე ს/კ: 01.14.12.003.130.01.06.062 ზე რეგისტრირებული დამხმარე ფართი დაფიქსირდება კომერციულ ფართად.

3. 30 კალენდარული დღის ვადაში დამატებითი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, სარეგისტრაციო წარმოება შეწყდება.

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

1. განცხადებით მოთხოვნილია მშენებარე უძრავ ნივთზე რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების რეგისტრაცია (პროექტის განშლა/ პროექტის კორექტირება)

2. მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ საქმეში არსებული ყველა დოკუმენტაციის/ინფორმაციის შესწავლისა და ურთიერთშეჯერების შედეგად დადგინდა, რომ დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილია ბრძანება NN72531517 , რომლის ტექნიკური მაჩვენებლების მიხედვით კომერიცული ფართობის ჯამია 430.9, ხოლო გეგმით 446 კვ.მ, რაც შეუსაბამოა.

ასევე განშა/განაწილების დოკუმენტი არ არის სათანადო წესით დამოწმებული.

გაცნობებთ, რომ დამხმარე ფართი N62(მშენებარე) ნიშნული -3.6 34.90 კვ.მ. პროექტის მიხედვით შეიცვლა დანიშნულება და გახდა კომერციული ფართი ს/კ: 01.14.12.003.130.01.06.062.

ასევე დაინტერესებული პირის მიერ არ არის წარმოდგენილი საკადასტრო აზომვითი ნახაზი და ელ. ვერსია , სადაც დატანილი იქნება ყველა შენობა-ნაგებობა.

3. „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“, „გ“ და „ი“ ქვეპუნქტების საფუძველზე, მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ, ვინაიდან განცხადებას თანდართული დოკუმენტი/ინფორმაცია არ არის წარმოდგენილი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმითა და წესით, დაინტერესებული პირის განცხადება ან/და თანდართული დოკუმენტი ან ინფორმაცია არ იძლევა უძრავი ნივთის იდენტიფიკაციის საშუალებას ან არსებობს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძვლები.”

4. ამდენად, სახეზეა სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების კანონით გათვალისწინებული საფუძველი.

წინამდებარე გადაწყვეტილება ძალაში შედის სააგენტოს ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე. გადაწყვეტილება გამოქვეყნებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და მხოლოდ შემდგომ სასამართლოს წესით. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს იურიდიული მისამართია: ქალაქი თბილისი, ვახტანგ გორგასლის ქუჩა, №22; ამასთან, ადმინისტრაციული საჩივრის წერილობითი ფორმით ჩაბარება შესაძლებელია სსიპ იუსტიციის სახლში (მისამართი: ქ. თბილისი, ზვიად გამსახურდიას სანაპირო №1), მის სტრუქტურულ ერთეულებსა და ტერიტორიულ ორგანოებში, ასევე, ფოსტისა და მოქალაქის პორტალის – my.gov.ge-ს მეშვეობით.
